



## საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის

### ბანკარბმულება

24/01/2024

N 2

თბილისი

#### ერთობლივი საინვესტიციო ფონდის „ფორსაითის ლარის ფულადი ბაზრის ფონდის“ ავტორიზაციის თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე ორგანული კანონის 52<sup>4</sup> მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის, 78-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, „საინვესტიციო ფონდის ავტორიზაციის, რეგისტრაციის, აღიარებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 22 სექტემბრის №170/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 პუნქტების, „ფასიანი ქაღალდების საიდენტიფიკაციო ნომრის მოთხოვნის, მინიჭების, ემისიის დამტკიცებული პროსპექტის და საჯარო შეთავაზების თაობაზე შეტყობინების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 7 სექტემბრის №73/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 4 დეკემბრის №346/04 ბრძანების საფუძველზე:

1. ავტორიზებულ იქნეს ერთობლივი საინვესტიციო ფონდი „ფორსაითის ლარის ფულადი ბაზრის ფონდი“.
2. ავტორიზებულ ერთობლივ საინვესტიციო ფონდს „ფორსაითის ლარის ფულადი ბაზრის ფონდს“ მიენიჭოს საიდენტიფიკაციო კოდი: 202410.
3. ავტორიზებული ერთობლივი საინვესტიციო ფონდის „ფორსაითის ლარის ფულადი ბაზრის ფონდის“ „ა“ კლასის ერთეულებს მიენიჭოს საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომერი: GE 3900004630, ხოლო „ბ“ კლასის ერთეულებს მიენიჭოს საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომერი: GE 3900004648.
4. წინამდებარე განკარგულების გამოცემიდან 3 დღის ვადაში ეცნობოს ერთობლივი საინვესტიციო ფონდის „ფორსაითის ლარის ფულადი ბაზრის ფონდის“ აქტივების მმართველ კომპანიას ერთეულებისათვის (ერთობლივი საინვესტიციო ფონდის

ფასიანი ქაღალდებისათვის) საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების თაობაზე.

5. ამ განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
6. ეს განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის გაცნობისთანავე.

ეკატერინე მიქაბაძე



ვიცე-პრეზიდენტი  
საქართველოს ეროვნული ბანკი

